ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სავალდებულო რეკომენდაციები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტისთვის

ქ. თბილისი

2020 წ.

მუხლი 1. რეკომენდაციების მიზანი

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - უნივერსიტეტი, ორგანიზაცია) ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული სავალდებულო რეკომენდაციების მიზანია ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში COVID-19-სგან ბავშვის განვითარების ინსტიტუტის სერვისებით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა (შემდგომში - ბენეფიციარები), აგრეთვე ინსტიტუტის პერსონალისა და თანამშრომელთა დაცვის ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელება. აღნიშნული რეკომენდაციები ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათალისწინებულ მოთხოვნებს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებულ ზოგად და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციებს.

მუხლი 2. ძირითადი რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ 26-ე დანართის მიხედვით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი, როგორც აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება), გამომდინარე ინფიცირების საშუალო რისკის კატეგორიიდან, ვალდებულია მაღალი სტანდარტით დაიცვას აღნიშნული ბრძანებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნები, რომელთა მიხედვით ვადებულია:

1. ბენეფიციართა მიღება ორგანიზაციაში უზრუნველყოს წინასწარ განსაზღვრული გეგმის/ცხრილის მიხედვით;
2. უზრუნველყოს ნაკადის კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით;
3. უზრუნველყოს ბენეფიციართა განთავსება სამუშაო/სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთისა და პერსონალის პირისპირ;
4. შესასვლელთან განახორციელოს თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოს როგორც პერსონალის, ასევე, ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთვევაში მოახდინოს აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართოს 112-ის ცხელ ხაზს;
5. დაწესებულების შესასვლელში განათავსოს დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
6. უზრუნველყოს პერსონალისა და ბენეფიციარების შესვლა დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით - ნიღბები, სახის ფარები და სხვა);
7. უზრუნველყოს დაწესებულებაში ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი ხელსახოცები) სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ხელების დაბანა და გაშრობა, გამოიყენოს ხელების დეზინფექტანქტი - 60%-70%-იანი სპირტის შემცველობის სადეზინფექციო საშუალებები;
8. სათანადო ადგილას განათავსოს ხელის ჰიგიენის წესები;
9. პერსონალისთვის ხელმისაწვდომ სათანადოდ დაცულ ადგილას განათავსოს ხელის სადეზინფექციო ხსნარები. პერსონალმა უზრუნველყოს ბენეფიციართათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა;
10. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოს სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;

11. უზრუნველყოს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინოს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;
12. უზრუნველყოს სახელურების, მოაჯირების, კარების სახელურების და სხვა, პერსონალისა და ბენეფიციართა მიერ, ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად;
13. უზრუნველყოს სანიტარული წერტილების დასუფთავება/დეზინფექცია დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
14. უზრუნველყოს სამუშაო სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დანართით გათვალისწინებული წესით;
15. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალი აღიჭურვოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:

- ნიღაბი;
- სახის დამცავი ფარი;
- ხელთათმანი;
- ერთჯერადი ხალათი (დამლაგებლისთვის).

მუხლი 3. ბენეფიციარი შშმ პირებისთვის აუცილებელი ინვენტარის დასუფთავება-დეზინფექცია

1. ეტლის, კიდურების პროთეზის, სმენის აპარატის, სიარულის საყრდენის („ხადულკა“), პანდუსიის აბაზანის აქსესუარების შშმ პირებისთვის ხელჩასავლების, დასაკიდი ხელსაბანის, მოძრავი სარკის და ა.შ. დასუფთავება დაწესებულების პერსონალმა უნდა განხორციელოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით;
2. შესაძლებელია დასუფთავება-დეზინფექციისთვის გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი ან სპეციალური დანიშნულების ინვენტარი და მოწყობილობები. მრავალჯერადი გამოყენების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სამუშაოს დამთავრების შემდგომ უნდა იყოს დეზინფიცირებული (მაგ: 0.5%-იანი ნატრიუმის ჰიდროქლორიდი ან 60-70%-იანი ეთანოლი);
3. საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის რეკომენდაციები. დასუფთავებისა და დეზინფექციის განმახორციელებელი პირების უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია სათანადო ინდივიდუალური საშუალებების (ნიღაბი და სახის ფარი ერთად, სქელი საყოფაცხოვრებო ხელთათმანები) გამოყენება და ობიექტის განიავება;
4. თუ კომერციულად დამზადებული სადეზინფექციო საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი, სადეზინფექციოდ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქლორის შემცველი საყოფაცხოვრებო ხსნარის განზავებული კონცენტრაცია. ქლორის მინიმალური კონცენტრაცია უნდა იყოს 5000 ppm ან 0.5% (5%-იანი ქლორის შემცველი თხევადი ხსნარის 1:9 განზავების ექვივალენტი.

მუხლი 4. ინვენტარი

1. ბენეფიციართა მომსახურების მიწოდების პროცესში პროცედურებისთვის გამოსაყენებელი ინვენტარი არ უნდა იყოს რბილი, შეწოვადი. გამოყენებულ უნდა იქნას პოლიეთილენის/ქსოვილის ერთჯერადი გადასაფარებელი, რომელიც გამოყენების შემდგომ უნდა განთავსდეს ნარჩენებისთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერში;
2. პროცედურის დროს ერთდროულად რამდენიმე ბენეფიციარის მომსახურების შემთხვევაში დაცული უნდა იქნას უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2 მეტრისა);

მუხლი 5. დასუფთავება და დეზინფექცია

1. დაწესებულებაში უნდა გამკაცრდეს დასუფთავების და დეზინფექციის ზომები საერთო სივრცეებში (საპირფარეშოები, დერეფნები, დარბაზები, და ა. შ.);
2. დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საგნებს, რომლებსაც ბენეფიციარები და პერსონალი ხშირად ეხებიან ხელით, როგორიცაა: სახელურები, ჩამრთველები, კარის ღილაკები და ა.შ.;
3. იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიდროქლორიდის გამოყენების შედეგად, გამოყენებულ იქნას 60%-70% კონცენტრაციის სპირტის ხსნარები;
4. დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დამატებით უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი;
5. საერთო სარგებლობის სივრცეების დალაგება/დეზინფექცია უნდა მოხდეს სველი წესით, ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის № 01-123/ო ბრძანებით დამტკიცებული სათანადო დანართის შესაბამისად.

მუხლი 6. ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის

1. სანიტარიულ კვანძებში დაცული უნდა იყოს სისუფთავე, რისთვისაც წინასწარ უნდა განისაზღვროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
2. სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები;
3. კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბიძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
4. საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხოს და გაშრეს;
5. დალაგების დროს გამოყენებული უნდა იქნეს ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: ხელთათმანები, სახის ფარი, წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას), ან ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
6. დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
7. დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებელია ხელების დაბანა;
8. სანიტარიული კვანძების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი დაწესებულების ბენეფიციარებისა და იმ პერსონალისთვის, რომელთა საქმიანობა არ უკავშირდება მათ გამოყენებას.